ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 92

6 მაისი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
სხდომის თვამჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი.

1. ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ. (**საკრ.№16-032512010-03 30/04/2025)**
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

(**საკრ.№15-032511915-03 29/04/2025 (№11-0125119573)**
(**საკრ.№15-032512249-03 2/06/2025 (№11-0125122339)**
(**საკრ.№15-032512572-03 5/06/2025 (№11-01251253595)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხების მომსახურებისა და დაფარვის, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიზნობრივი ტრანსფერი), პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით, მიღებული და გადარიცხული გრანტების შესახებ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 541,230.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 466,967.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 86.3%.

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 521,230.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 408,363.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 78.3% და მთლიანი - შემოსულობების 87.5% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 154,290.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (169,237.3 ათასი ლარი) 91.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 156,716.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2,426.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ქონების გადასახადზე მოდის1 , მათ შორის: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 723.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) ჩამოწერილია - (- 158.5 ათასი ლარი), ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 474.9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 406.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი – 5,150.4 ათასი ლარი) შედარებით 4,427.2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2024 წლის 3 თვის ფაქტი - 3,630.2 ათასი ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 153,567.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის 3 თვის ფაქტი - 151,566.4 ათასი ლარი) შედარებით 2,000.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 144,795.1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 78,756.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 109,277.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 138.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 89,724.3 ათასი ლარი) შედარებით 19,553.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 58,603.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 13,583.5 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 12,085.9 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 1,497.6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 62.2 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 44,957.4 ათასი ლარი.

2025 წლის 3 თვეში გადასახდელების შესრულების 69%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2024 წლის 3 თვესთან - 449,322.3 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 38,038.6 ათასი ლარით მეტი

თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 216,882.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (319,674.0 ათასი ლარი) 67.8%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 47,950.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (79,211.0 ათასი ლარი) 60.5%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 51,626.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (63,661.1 ათასი ლარი) 81.1%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 158.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,053.8 ათასი ლარი) 15%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 5,605.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,616.9 ათასი ლარი) 99.8%-ია;
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 41,565.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (45,888.1 ათასი ლარი) 90.6%-ია; ▫ განათლება - 60,793.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (96,133.1 ათასი ლარი) 63.2%-ია;
კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 10,970.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (18,900.9 ათასი ლარი) 58%-ია;
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1,793.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,979.4 ათასი ლარი) 36%-ია;
ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 50,016.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (73,597.8 ათასი ლარი) 68%

ქონების მართვის და საფაინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს:

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, ქვეპროგრამის „კომუნალური სუბსიდირება“ (პროგ/კოდი 06 02 01) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 165 000 ლარით, რაც გამოწვეულია დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით.
იზრდება მეორე კვარტლის გეგმა „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში (პროგ/კოდი 08 02) -60000 ლარით.
„სპორტული ღონისძიებები“(პროგ/კოდი 08 06 01)- 181234 ლარი.
სამსახური წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ დარჩენილი თანხა არ არის საკმარისი სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული ა(ა)იპ-ების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად, რის გამოც შემცირდა ფედერაციების და კლუბების საჭირო სპორტული ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა ,სპორტული ღონისძიებები, ასევე წარმატებული თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოება
.იზრდება „სარეზერვო ფონდი“ (პროგ/კოდი 10 22) მეორე კვარტლის გეგმა -900 000 ლარი.
ვაკის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ პროგრამაში „“გზების მოვლა-შეკეთების“ პოგრამაში (პროგ/კოდი: 01 01 12) დაგეგმილთან შედარებით მოსალოდნელია მეორე კვარტლის გეგმის შესრულება 600 000 ლარის გადაჭარბებით.
დაგეგმილთან შედარებით მოსალოდნელია მეორე კვარტლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება 1 500 000 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ქვეპროგრამაში (პროგ/კოდი 05 01 12)
იზრდება ასევე „საზოგადოების განათლების და ინფორმირების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის მეორე კვარტლის გეგმა (პროგ/კოდი 07 02 03)- 2 000 000 ლარით.
იზრდება „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია „(პროგ/კოდი 02 01 01) – 3000 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „გზების მშენებლობა და აღდგენა“(პროგ/კოდი 01 01 01). აღნიშნული გადანაწილება დაკავშირებულია ქ.თბილისის მასშტაბით საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქციის სამუშაოების ანაზღაურებასთან.

მომხრე-5 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**